პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში: დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი და დაფინანსებული პროექტი

განხორციელების ვადა: 01.01.2024 - 31.12.2027

EaP ქვეყნები:

აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 5 835 932

მთლიანი ბიუჯეტი: € 6 143 086

პროექტის ვებსაიტები: osce.org/node/572410

პროექტის აღწერა:

ამ პროექტის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შესთავაზებენ დახმარებას, რაც გულისხმობს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) ინსტრუმენტების ყოვლისმომცველი პაკეტით სარგებლობას იმ მიზნით, რომ ამ ქვეყნებმა გააძლიერონ კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული დემოკრატიული მმართველობის სისტემები, გაზარდონ საზოგადოების ნდობა ინსტიტუტების მიმართ, მხარი დაუჭირონ უფრო წარმომადგენლობითი მთავრობის არსებობას, და ინკლუზიას და ჩართულობას პოლიტიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; ზემოაღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს უფრო ეფექტურ რეაგირებას მიმდინარე კრიზისებზე და ზრდის მდგრადობას მომავალი კრიზისების მიმართ. ამ პროექტის ფარგლებში გაწეული მხარდაჭერა საშუალებას მისცემს სახელმწიფოებს განახორციელონ უფრო ეფექტური და ეფექტიანი პოლიტიკა და შეაფასონ წინსვლა შემდეგი მიმართულებებით: ანგარიშვალდებული და ინკლუზიური დემოკრატიული ინსტიტუტები; საზოგადოებრივი კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის სისტემების გაძლიერება; სამართლებრივი ჩარჩოების შესაბამისობა ადამიანის უფლებებთან; პოლიტიკური პარტიების რეგულირება; ტრადიციულად არასაკმარისად წარმოდგენილი ჯგუფების უფრო აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. ODIHR-ის რეგიონული ექსპერტიზის, დემოკრატიული ინსტიტუტების წინაშე არსებული გამოწვევების სიღრმისეული გააზრების და ვრცელი პარტნიორული ურთიერთობების გამოყენებით პროექტი ხელს შეუწყობს მოსაზრებების და პერსპექტივების გაზიარებას წარსული მიღწევების საფუძველზე შემდეგი მიზნით: მოწინავე პრაქტიკის და მიღებული გამოცდილების გამოყენება იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა უკეთ შეძლონ მოქალაქეთა უფლებამოსილებების

მოსალოდნელი შედეგები:

- დემოკრატიული ინსტიტუტები უკეთ შეძლებენ მონაწილეობას მტკიცებულებებზე დამყარებულ რეფორმებში და ამასთანავე გააუმჯობესებენ ანგარიშვალდებულებას, კეთილსინდისიერებას და ინკლუზიურობას.
- პოლიტიკური პარტიები იხელმძღვანელებენ კანონის უზენაესობით, ადამიანის უფლებებით და გენდერულად სენსიტიური ნორმატიული აქტებით.
- ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საარჩევნო და ფუნდამენტური სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განხილვაზე, იმოქმედებენ უფრო ეფექტურად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- გაფართოვდება თანამშრომლობა საკვანძო რეკომენდაციების შესასრულებლად, რაც უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესების გაუმჯობესებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.